ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №12
(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით)

ქ. მარნეული *„31“ „იანვარი“ 2019 წელი*

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, *შემდგომში წოდებული „შემსყიდველად”, წარმოდგენილი მისი* ***მერის მოვალეობის შემსრულებლის ზაურ ტაბატაძის სახით,*** *და,* ***შ.პ.ს. „ეტალონი–მედია“,*** *შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი* ***დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით,*** *ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:*

1. ***გამოყენებული ტერმინების განმარტებები***

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ***ხელშეკრულების საგანი***

<u>მარნეულის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტში შემოსული შ.პ.ს. „ეტალონი–მედია“–ს 17.01.2019 წლის N-773-03 წერილის საფუძველზე, საქართველოს ეროვნულ ინტელექტ–ჩემპიონატში „ეტალონი–2019“ ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა. (CPV -981 11300 – სპეციალიზებული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება).</u>

3. ***ხელშეკრულების ღირებულება***

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ***2 960,00 (ორიათას ცხრაასსამოცი) ლარს.***

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. *დაფინანსების წყარო –* ***2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.***

4. ***მხარეთა უფლება–მოვალეობები:***

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. *განახორციელოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ,* ***ამა წლის 08 თებერვალს 12:00 საათიდან, დამკვეთის მიერ წინასწარ შერჩეულ და მითითებულ ლოკაციაზე.***

4.1.2. მიწოდებელი ვალდებულია გაწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე–4 მუხლში;

4.1.3. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.1.5. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

4.1.6. უზრუნველყოს დამკვეთის მონაწილეობით ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;

4.1.7. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განხორციელდება სოციალურ–საგანმანათლებლო მედიაპროექტის „ეტალონი"–ს პრინციპით. კონკურსს ჩაატარებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკური და შემოქმედებითი ჯგუფი.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;

4.2.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულების ვადებისა და პირობების დაცვით.

4.2.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2.4. უზრუნველყოს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მუნიციპალიტეტის სკოლების ინფორმირება, მოსწავლეების შერჩევა და გულშემატკივრებთან ერთად, მათი ლოკაციის ადგილზე მიყვანა; ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის გახმოვანების აპარატურით და პროექტური ეკრანით აღჭურვა.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპეტირებას განახორციელებს შემსყიდველი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

5.3. კონტროლს განახორციელებს <u>**მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოც. უზრუნველყოფის, კულტურის და სპორტის სამსახურის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების სპეციალისტი მარიამ ტყეშელაშვილი.**</u>

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გაწეულ მომსახურებაში აღმოჩენილი წუნის გამოსწორება დაუყოვნებლად.

6. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.

6.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს <u>**მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოც. უზრუნველყოფის, კულტურის და სპორტის სამსახურის უფროსი გიორგი მეურმიშვილი.**</u>

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

7.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

*7.3. ანგარიშსწორების ვადა – მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **(მომსახურების მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.***

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წაწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილებისა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუწყდება ხელშეკრულება და დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 15%–ის ოდენობით.

9.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

11.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. თითეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ფორს–მაჟორი

13.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

13.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების **ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 მარტის ჩათვლით.**

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	*მიმწოდებელი:*
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია *საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149* *მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73*	*შ.პ.ს. ,,ეტალონი მედია"* *საიდენტიფიკაციო კოდი: 204 572 024* *იურ. მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის N-116, დიდუბე პლაზა, ოფისი N-203*
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა *ბანკის კოდი: TRESGE22* *ანგ. No.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022*	*მომსახურე ბანკი: სს „ქართუ ბანკი"* *ბანკის კოდი: CRTUGE 22* *ანგ. No.ა GE 08 CR 0030 0861 0100 3608* *ტელეფონი: 593 400 015*
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი:	*დირექტორი:*
_____ *ზ.ტაბატაძე*	_____ *მ. ღოღობერიძე*

MARNEULI MUNICIPALITY

Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY
Date: 2019.01.31 13:35:45 +04'00'

LTD "ETALONI-MEDIA"

Digitally signed by LTD "ETALONI-MEDIA"
Date: 2019.01.31 13:58:14 +04'00'